

# შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF) საპარლამენტო რეზიუმე

## კეთილსინდისიერების დამკვიდრება თავდაცვაში

რატომ წარმოადგენს კორუფცია თავდაცვაში მნიშვნელოვან საკითხს პარლამენტის წევრებისთვის?

რატომ აქვს თავდაცვის სექტორს კორუფციისადმი მიდრეკილება?

რა უნდა იცოდეს პარლამენტის წევრმა თავდაცვის ხარჯების კატეგორიებზე?

კორუფციის რისკები კადრების მართვაში

კორუფციის რისკები ოპერაციებსა & ტექნიკურ მომსახურებაში

კორუფციის რისკები თავდაცვის შესყიდვებში

კორუფციის რისკები საკომპენსაციო შეთანხმების დროს

კორუფციის რისკები თავდაცვის კონვერსიაში

ვინ უნდა შეასრულოს როლი კეთილსინდისიერების დასამკვიდრებლად?

რა საერთაშორისო ნორმები და საუკეთესო გამოცდილება არსებობს თავდაცვაში კეთილსინდისიერების დასამკვიდრებლად?

რომელი დამოუკიდებელი წყაროებია ხელმისაწვდომი თავდაცვის ბიუჯეტის შედგენის პროცესისათვის?

### რატომ წარმოადგენს კორუფცია თავდაცვაში მნიშვნელოვან საკითხს პარლამენტის წევრებისთვის?

უმეტეს ქვეყანაში გავრცელებული ტენდენციით, ხალხი ენდობა საკუთარ შეიარაღებულ ძალებს. საზოგადოებრივი გამოკითხვის მაჩვენებლების მიხედვით, საზოგადოებაში სამხედრო სფერო არის ყველაზე ღირსეული ინსტიტუტი, რომელიც სარგებლობს უფრო მეტი დამაჯერებლობით ხალხში, ვიდრე მედია, კერძო სექტორი, პოლიტიკური პარტიები ან პარლამენტი, და რანგით მხოლოდ რელიგიური ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები უსწრებენ. თუმცა, სხვადასხვა გამოკვლევის შეფასებით, თავდაცვა არის სამთავრობო მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული სფერო, მომპოვებელ მრეწველობასა და მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად (მაგალითისთვის იხილეთ, საერთაშორისო გამჭვირვალობა, „გლობალური კორუფციის ბარომეტრი 2010“).

ძალისხმევა თავდაცვის უწყებაში კეთილსინდისიერების მისაღწევად და შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნის პარლამენტის წევრებისთვის სხვადასხვა მიზეზის გამო.

#### ჩანართი 1. განსაზღვრებები და კონცეფციები

**კეთილსინდისიერება** ნიშნავს საკუთარი პასუხისმგებლობების პატიოსნად და კომპეტენტურად შესრულებას. პროცესს ახასიათებს მთლიანობა, თუ იგი მიმდინარეობს გამიზნულად და ერგება უფრო ფართო სისტემას, რომლის ნაწილსაც თვითონ წარმოადგენს. ორგანიზაციას აქვს ერთობლიობა, თუ მისი საქმიანობები ხორციელდება სათანადო ანგარიშვალდებულებებითა და კომპეტენტურობით, რესურსების არაკეთილსინდისიერად და პირადი მიზნებისთვის გამოყენების გარეშე. კეთილსინდისიერება, ჩვეულებრივ, იზომება აუდიტებისა და კვლევების მეშვეობით.

**კორუპცია** არის ნდობით აღჭურვილი სამსახურის ბოროტად გამოყენება პირადი ანგარების მიზნით. კორუფცია თავდაცვის სექტორში შესაძლებელია განხორციელდეს მრავალი ფორმით, მათ შორის, როგორცაა მოსყიდვა და მექრთამეობა, არაკონკურენტული კონტრაქტები, ჯარისკაცისთვის განკუთვნილი ანაზღაურებით მანიპულირება, ბიუჯეტის არასწორად მოხმარება, და სამხედრო რესურსების გამოყენება არასაბიუჯეტო მოგებების საწარმოებლად.

**ინტერესთა კონფლიქტი** ჩნდება მაშინ, როდესაც თანამდებობის პირს აქვს პირადი ან კერძო ინტერესები, რომლებიც იწვევენ მის დაპირისპირებას საკუთარ, კანონით დადგენილ მოვალეობასთან. ზოგიერთი ქვეყანა ინტერესთა კონფლიქტს განსაზღვრავს, როგორც არსებულ, მაგრამ ასევე მომავალ უპირატესობებს, რომელიც შესაძლებელია მოიპოვოს თანამდებობის პირმა მიმდინარე შესყიდვების კონტრაქტით, მაგალითად, როდესაც თანამდებობის პირი იწყებს მუშაობას თავდაცვის სფეროს მომწოდებლისთვის ან იღებს სხვა სახის სარგებელს მისგან დროის განსაზღვრულ პერიოდში მას შემდეგ, რაც წევრს მუშაობას მთავრობისთვის.

**რაციონალური ქცევის თეორია ეკონომიკური დანაშაულის დროს** შესაძლებელს ხდის შემოწმდეს კორუფცია, როგორც ინდივიდის მიერ მიღებული რაციონალური არჩევანის შედეგი, როდესაც მოხდა კანონის დარღვევით პოტენციური პერსონალური წახალისების შეფასება, მოსალოდნელი დაკავების, განსჯის და სასჯელის სიძველის საწინააღმდეგოდ, რაც მათ დაიმსახურეს. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, არსებობს ორი ფაქტორი კორუფციის გამოსავლენად: კულტურით განსაზღვრული „მორალური ტვირთი“ და ინდივიდუალური ეთიკა; და „მოსალოდნელი საჯელი“, რაც განსაზღვრება კანონმდებლობით.



**DCAF**  
a centre for security,  
development and  
the rule of law

წინამდებარე საპარლამენტო რეზიუმეით მოქმედი სპეციალისტებისთვის მოკლედ არის წარმოდგენილი მთავარ კონცეფციები, სტრატეგიები, და საუკეთესო პრაქტიკები თავდაცვის უწყებაში ერთიანობის დასამყარებლად და კორუფციის რისკების გადასაჭრელად.

პირველ რიგში, თავდაცვის სექტორის კორუფცია იწვევს მაღალი საფასურის გამოძალვას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებისგან. იგი არასწორად მიმართავს ფულად სახსრებს ეროვნული ბიუჯეტიდან, ხელს უშლის მათ ინვესტირებას განათლებაში, ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში, ინოვაციასა და განვითარებაში.

მეორე, იგი ძირს უთხრის ეროვნული თავდაცვის სიმძლავრეს, ამცირებს სამხედრო ძალების ოპერატიულ ეფექტიანობას. იგი მოქმედებს ჯარისკაცების უსაფრთხოებაზე, წვრთნებსა და საბრძოლო პირობებზე. და განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ჯარების მორალურ სულისკვეთებაზე. კორუმპირებული თავდაცვის სექტორი მასიურად მონაწილეობს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დანაშაულებში, და აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრივ უქმნის საფრთხეს ქვეყნის უშიშროებას. ერთობლიობის არარსებობა უსაფრთხოების სექტორში გზას უხსნის ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორისტულ ჯგუფებს, უცხოურ სადაზვერვო სააგენტოებს, და ბუნდოვანს ხდის ბიზნეს ინტერესებს ეროვნული ინფორმაციის, ნოუჰაუს, სამიში მასალებისა და შეიარაღების ტექნოლოგიის მოსაპოვებლად.

თავდაცვის სექტორის კორუფცია, ასევე, ძირს უთხრის საზოგადოებრივ ნდობას სახელმწიფოში. იგი იწვევს საზოგადოებრივი ნდობის დაკარგვას სამხედრო ძალების მიმართ, საბოლოო ჯამში კი – ქვეყნის თავდაცვითი მზადყოფნისა და პრესტიჟის დაკნინებას.

**ჩანართი 2. თავდაცვის სექტორის კორუფციის სკანდალების შედეგები ბულგარეთში**

საზოგადოების პატივისცემას სამხედრო ძალების მიმართ ბულგარეთში ზიანი მიაყენა განმეორებითა კორუფციულმა სკანდალებმა. 2009 წელს განხორციელდა გამოძიებები თავდაცვის სექტორის მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართავდნენ ძალაუფლების გადამეტებასა და კორუფციას. აღნიშნული ქმედებების გამოვლენის შემდეგ საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად მოხდა თავდაცვის ბიუჯეტის დრამატული შეკვეცა და სამხედროების პრესტიჟისა და მორალური კოლაფსი. თუმცა, აღნიშნული სიტუაციის საპასუხოდ განხორციელებულ რეფორმებს მოჰყვა ბულგარეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის სწრაფი ტრანსფორმირება, ქვეყანა კი, ამჟამად წარმოადგენს ნატო-ს კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცების ნდობის ფონდის წამყვან ქვეყანას.

კეთილსინდისიერების დამკვიდრება და კორუფციის შემცირება წარმოადგენს ერთი მონეტის ორ მხარეს, თუმცა კეთილსინდისიერ მართვაზე აქცენტის გაკეთება არის უფრო დადებითი და პროაქტიული მიდგომა.

**რატომ აქვს თავდაცვის სექტორს კორუფციისადმი მიდრეკილება?**

მრავალ ქვეყანაში თავდაცვის დაწესებულება არის უმსხვილესი სახელმწიფო დამქირავებელი, რამდენადაც შეიარაღებული ძალები წარმოადგენს სისტემის ცენტრალურ ნაწილს რომელიც მოიცავს დამოუკიდებელ განათლებას, ჯანმრთელობის უზრუნველყოფას, სამართლებრივ ინსტიტუციებს, და მნიშვნელოვან ლოჯისტიკურ და ადმინისტრაციულ ინფრასტრუქტურას.

**თავდაცვის ფინანსური სახსრები** ხშირ შემთხვევაში არის სახელმწიფო ხარჯების უდიდესი კომპონენტი. ის შეადგენს ეროვნული ბიუჯეტის 2-3%-ს ავსტრიაში, ბელგიასა და უნგრეთში, 4.5%-ს საფრანგეთში, გერმანიასა და საბერძნეთში, 16-18%-ს რუსეთში, ინდოეთსა და აშშ-ში. თავდაცვის ფინანსური სახსრები, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს არა მარტო ქვეყნის ბიუჯეტის, არამედ მისი მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან პროცენტს, რომელიც მერყეობს 1%-დან იაპონიაში 4.5%-მდე აშშ-სა და რუსეთში და 9 პროცენტამდე კი საულის არაბეთში.

ცხრილი 1: სამხედრო ხარჯები, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული მაჩვენებელი	
ქვეყანა	სამხედრო ხარჯები
ალბანეთი	1.5%
ბოსნია-ჰერცეგოვინა	1.4%
ბულგარეთი	1.5%
ხორვატია	1.7%
მაკედონია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა	1.4%
მოლდოვა	0.3%
მონტენეგრო	1.9%
რუმინეთი	1.3%
სერბია	2.2%
სლოვენია	1.2%

წყარო: მსოფლიო ბანკი:  
<http://data.worldbank.org/indicator/MS.MIL.XPND.GD.ZS>

კორუფციული ქმედებებისთვის პოტენციური მოგება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორცაა:

- საჯარო მოხელის კონტროლის ქვეშ მოქცეული რესურსების რაოდენობა,
- მის განგარგულებაში არსებული დისკრეციული უფლებამოსილებები,
- გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დონე, რომელიც გამოააშკარავებს თავდაცვის სექტორს.

თავდაცვის სექტორში, აღნიშნული ფაქტორები იმგვარად არის კომბინირებული, რომ იგი ზრდის კორუფციული ქმედების პოტენციურ წახალისებას: არსებით რესურსებს პლუს გარემოებები, როგორცაა „გასაიდუმლოების“, „გადაუდებლობის“ ან „ეროვნული ინტერესის“ საჭიროება, შემოფარგლავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს ვიწრო წრით და რადიკალურად ამცირებს მის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

**გასაიდუმლოებულობა** „ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვის“ მიზნით წარმოადგენს თავდაცვაში გამჭვირვალობის უპირველეს და ყველაზე სამომეტერს. ხშირ შემთხვევაში, იგი ხელს უშლის კონსტრუქციულ გარე შემოწმებას. თავდაცვის შესყიდვებში, მას შეუძლია შეზღუდოს აუქციონის პოტენციური მონაწილეების რაოდენობა (ან გამოიწვიოს შესყიდვები ერთი წყაროდანაც კი), ამგვარად კი, აღმოფხვრება კონკურენცია და გზა გაეხსნება მომწოდებლების მიერ ფასითა და კონტრაქტით მანიპულირებას.

გადაუდებლობა ოპერატიული და თავდაცვის სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იძლევა პროცედურების გამარტივების ან უფრო მეტიც, წესებზე უარის თქმის საშუალებას – თავს არიდებს ტენდერის მოთხოვნებს ღიაობისა და კონკურენტუნარიანობისთვის. საჭიროება „გადაუდებელი“ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით, როდესაც იგი შერწყმულია გასაიდუმლოებულობასთან, ქმნის მასშტაბებს არატრანსფარენტული და თვითნებური გადაწყვეტილებების მისაღებად, საშუალებას აძლევს მიმწოდებელს წამოაყენოს მკვეთრად მაღალი მოთხოვნები.

**პოპულისტური დევიზები** აგრეთვე შესაძლებელია მიეკუთვნებოდეს კორუფციულ პრაქტიკებს. მოწოდება „შიდიხით ეროვნული“ თავდაცვის პროდუქცია და მომსახურებები, რათა „ვიზრუნოთ ხალხზე და მათ სამსახურებზე“, ხშირ შემთხვევაში, გამოიყენება არაგამჭვირვალე, არაკონკურენტული კონტრაქტების გასამართლებლად, რომლებიც ხელს უწყობს თანხების უკან დაბრუნებას სხვადასხვა გზით. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს დაბალი ხარისხის პროდუქციისა და

მომსახურებების შესყიდვა მაღალ ფასებში. გარდა ამისა, პოლიტიკა, რომელიც წყალობს სამამულო მიმწოდებელს, აძნელებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციისა და ახალი ტექნოლოგიის მოზიდვას, გულისხმობს ნაკლებ კონკურენტებს, და კორუფციისათვის უფრო ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას.

## რა უნდა იცოდეს პარლამენტის წევრმა თავდაცვის ხარჯების კატეგორიებზე?

თავდაცვის ხარჯები, ჩვეულებრივ, იყოფა ოთხ კატეგორიად:

- კადრების მართვა
- ოპერაციები და ტექნიკური უზრუნველყოფა
- შესყიდვები და მშენებლობა
- კვლევები და განვითარება

თითოეულ კატეგორიას აქვს საკუთარი განსაზღვრული კორუფციის რისკები და გამოწვევები ანტიკორუფციულ თავდაცვის ხარჯების ძალისხმევასთან მიმართებაში.

ცხრილი 2: თავდაცვის ბიუჯეტის ხარჯების განაწილება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში			
<b>ალბანეთი (2011)</b>		<b>ბოსნია-ჰერცეგოვინა (2010)</b>	
პერსონალი:	68.33%	პერსონალი:	79.32%
ოპერაციები:	17.16%	ოპერაციები:	19.29%
შესყიდვები:	14.51%	შესყიდვები:	1.39%
<b>ბულგარეთი (2010)</b>		<b>ხორვატია (2011)</b>	
პერსონალი:	53.86%	პერსონალი:	62.82%
ოპერაციები:	27.86%	ოპერაციები:	20.12%
შესყიდვები:	18.20%	შესყიდვები:	17.06%
კვლევები და განვითარება:	0.08%		
<b>მაკედონია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა (2010)</b>		<b>მოლდოვა (2010)</b>	
პერსონალი:	70.52%	პერსონალი:	74.61%
ოპერაციები:	18.58%	ოპერაციები:	24.41%
შესყიდვები:	10.90%	შესყიდვები:	0.10%
<b>მონტენეგრო (2010)</b>		<b>რუმინეთი (2011)</b>	
პერსონალი:	69.99%	პერსონალი:	71.06%
ოპერაციები:	23.52%	ოპერაციები:	15.63%
შესყიდვები:	6.48%	შესყიდვები:	13.14%
		კვლევები და განვითარება:	0.16%
<b>სერბია (2011)</b>		<b>სლოვენია (2011)</b>	
პერსონალი:	71.76%	პერსონალი:	8.15%
ოპერაციები:	22.10%	ოპერაციები:	1.45%
შესყიდვები:	6.08%	შესყიდვები:	10.18%
კვლევები და განვითარება:	0.06%	კვლევები და განვითარება:	0.20%
წყარო: გაერთიანებული ერების საანგარიშო მოხსენება სამხედრო ხარჯების შესახებ ( <a href="https://milex.un.org/">https://milex.un.org/</a> )			

კადრების ხარჯები წარმოადგენს მნიშვნელოვნად უდიდეს წილს სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რის გამოც იგი არის ერთობლიობის დამყარების ძალისხმევის მთავარი სფერო.

## კორუფციის რისკები კადრების მართვაში

კორუფციამ კადრების მართვის სისტემებში შესაძლებელია მიიღოს გამოძალვის, ქურდობის, მექრთამეობის ან

კორუფციული პრაქტიკების ხელშეწყობი ქსელების გავრცელების ფორმა. იგი შესაძლოა გამოიწვიოს ნებისმიერი პერსონალის გადაწყვეტილებამ, რომელიც არ იცავს რეგულაციების ან პოლიტიკის მკაცრად გამოყენებას. მაგალითები შესაძლებელია იყოს:

- გაწვევის თავიდან აცილების სქემები (კორუმპირებული თანამდებობის პირების, ექიმების, და ინსტრუქტორების ჩათვლით ახალწვეულთა ცენტრებში)
- გამოსაცდელი ვადით ოფიცრის მოსამზადებელ პროგრამებში დაუმსახურებელი მიღება
- თანამდებობებზე გაუმართლებელი დაწინაურება და დანიშვნა
- პრიორიტეტით სარგებლობა გადაწყვეტილებების მიღების დროს საზღვარგარეთ სამუშაოდ გასაგზავნად (მაგალითად, ტრენინგებზე წარგზავნა ან მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში)
- დაუსაბუთებელი უპირატესობები ანაზღაურებისა და სარგებლის განაწილების დროს (საცხოვრებელი უზრუნველყოფა, კვება, სამედიცინო მომსახურება, უნიფორმები, დასვენების დღეები)

გამჭვირვალობის უზრუნველყოფას კადრების მართვის დროს ართულებს სხვადასხვა ფაქტორი. მაშინ როდესაც პირადი შემადგენლობით დაკომპლექტება და დანიშვნა გავრცელებულია მთელს სისტემაში, ანგარიშგება არის იერარქიული, სუბორდინაციის ჯაჭვის მეშვეობით. ორგანიზაციული დაყოფა ოპერატიულ ქვედანაყოფებსა და ცენტრალურ შტაბს შორის, შერწყმული სამხედრო კულტურის სულის სიღრმეში არსებულ დაუწერელ ნორმებთან და ტრადიციებთან, ქმნის შემაფრთხილებელ ფაქტორებს „განგაშის ამტკებებისთვის“ (ინფორმატორებისთვის). ეს კი ზუსტი ინფორმაციის შეკრებას გამოწვევად აქცევს.

## რა როლი შეიძლება ითამაშოს პარლამენტის წევრმა კადრების მართვაში?

- უზრუნველყოს გამჭვირვალე სტრუქტურა, რომელიც მართავს შეიარაღებული ძალების სამართლებრივ სტატუსს, პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების პირობებს, განათლებისა და კარიერის განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და სამუშაო პირობების პატივისცემას
- ოფიციალურად დაამტკიცოს ან დაადასტუროს მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა პარლამენტის მეშვეობით
- დასვას შეკითხვები და მოითხოვოს საანგარიშო მოხსენებები თავდაცვის სამინისტროსგან კადრების პოლიტიკისა და მისი განხორციელების შესახებ
- მოითხოვოს ინფორმაცია და გაიაროს კონსულტაცია ომბუდსმენის სამსახურთან შეიარაღებული ძალებიდან მიღებული საჩივრების შესახებ კადრების მართვის დროს ბოროტგანზრახვის, დისკრიმინაციის და საქმის არაკეთილსინდისიერად წარმართვის შემთხვევებზე.
- გაითვალისწინოს სპეციალიზებული ინსტიტუციის შექმნა, რომელიც იმუშავებს შეიარაღებულ ძალებში უფლებების დაცვაზე, როგორცაა სპარლამენტო სამხედრო კომისარი გერმანიაში ან ბოსნია და ჰერცეგოვინაში.

## კორუფციის რისკები ოპერაციებსა & ტექნიკურ მომსახურებაში

ოპერაციები & ტექნიკური მომსახურება ითვისებს ქვეყნის თავდაცვის ხარჯების საშუალოდ 20%-ს. იგი მოიცავს იმგვარ ერთეულებს, როგორცაა მშვიდობიან დროს ძალების წვრთნა, მათი მომზადება ოპერატიული დისლოკაციისთვის, ერთობლივი სავარჯიშოების ჩატარება და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა.

გადაწყვეტილება **სამშვიდობო ოპერაციებში ქვეყნის მონაწილეობასთან დაკავშირებით** უნდა განხორციელდეს მოკლე ვადებში. ხშირ შემთხვევაში, გამართლებულია

შესაბამისი შესყიდვების პროცედურები, ხდება კონკურენტული პროცესების აცილება. ფასების განხილვა ხშირად პასიური ხდება ფუნქციონალური თავსებადობის მოთხოვნების და ჯარისკაცების უსაფრთხოებაზე ზრუნვის გამო. ხშირ შემთხვევაში, პირადი შემადგენლობის შერჩევა დასაქმებისთვის ხდება გაურკვეველი და არატრანსფარენტული პროცედურების საფუძველზე.

ანაზღაურება საერთაშორისო დისლოცირების დროს რამდენჯერმე აღემატება ნორმალურ ხელფასს, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ლობირება, მექრთამეობა, და ვაჭრობა გავლენისთვის თავდაცვის დაწესებულებაში, რამდენადაც ჯარები და ოფიცრები ცდილობენ უზრუნველყონ თანამდებობები საზღვარგარეთ. სამშვიდობო მისიებში განაწილების შემთხვევაში, ზოგიერთი ექსპერტის რეკომენდაციით, უმჯობესია მუდმივი ორგანიზაციული ქვედანაყოფების დისლოცირება სპეციალური მისიისთვის თავმოყრილი კონტინგენტების ნაცვლად, რადგანაც მსგავს ქვედანაყოფებს დასჭირდებათ მხოლოდ მინიმალური დამატებითი აქტივები და წვრთნა მისიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

თავდაცვის ოპერაციები მზარდად არის დამოკიდებული კერძო სექტორზე სამი მთავარი გზით:

1. **აუთოსონგი (გარე რესურსების მოზიდვა)**, როდესაც ორგანიზაციული საქმიანობები გაიცემა იჯარით გამყიდველზე ან მიმწოდებელზე, რომლებიც სპეციალიზებული არიან აღნიშნულ საქმიანობებში.
2. **პრივატიზაცია**, როდესაც არსებული სახელმწიფო საკუთრება, აღჭურვილობა და სიმძლავრეები მიყიდება კერძო სექტორს.
3. **სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობა**, როდესაც კერძო სექტორი ახდენს ინვესტირებას თავდაცვის პროექტებში ან ოპერაციებში, აქვს საერთო რესურსები, ექსპერტიზა, რისკები და წახალისებები ერთობლივ საწარმოებში სახელმწიფო პარტნიორთან.

**ჩანართი 3. კორუფციის გამაფრთხილებელი ნიშნები პრივატიზაციის დროს**

- პარლამენტი ექვემდებარება არასათანადო გავლენას კერძო სექტორის მხრიდან. ხშირ შემთხვევაში, არაადეკვატური კამპანიის ფინანსური კანონების საშუალებით.
- სახელმწიფოებრივი მართვის დაბალი გამჭვირვალობა-პრივატიზაციის სტრატეგიის, პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ ინფორმაციაზე არასაკმარისი საჯარო მისაწვდომობა.
- არ არსებობს ანგარიშვალდებულების სისტემები და კონტროლის საშუალებები პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირებისთვის, რომლებიც ჩაბმული არიან პრივატიზაციის პროგრამებში.
- სისხლის სამართლის, სამოქალაქო და დისციპლინარული სანქციების უქონლობა პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირების წინააღმდეგ, რომლებიც ჩართული იყვნენ ან ეჭვმიტანილი კორუფციულ ქცევაში, ან აშკარად ექვემდებარებიან ინტერესთა კონფლიქტს.
- თანამშრომლები და მოქალაქეები მოკლებული არიან შესაძლებლობებს, რომ წარადგინონ საჩივარი, კონფიდენციალურად თუ ანონიმურად, კორუმპირებული თანამდებობის პირების ან პროცესების წინააღმდეგ.
- არ ხდება პრივატიზაციის გადაწყვეტილებებში მონაწილე პოლიტიკოსებისა და საჯარო თანამდებობის პირების მიერ აქტივების, შემოსავლების, და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტების სავალდებულო საჯარო მხილება.
- სუსტი მედიასაშუალებები, რომლებიც ემორჩილებიან პოლიტიკურ ინტერესებს.

მსგავსი ღონისძიებები იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს თავდაცვის ძალების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. იმსვდროულად, ძლიერი ეთიკური ხელმძღვანელობის, ინსტიტუციებისა და ზედამხედველობის გარეშე შესაძლებელია ფართო პროსპექტი მიეცეს არალეგალურ ქმედებებს, როგორცაა მექრთამეობა. მან შეიძლება თავი იჩინოს კანონიერი უწყებრივი საქმიანობების გვერდით კერძო კომპანიების მიერ პოლიტიკური და ბიუროკრატიული პროცესების წახალისების მიზნით, რათა აერჩიათ დაფინანსების წყაროს ვარიანტები კერძო ინტერესების სასარგებლოდ და თავდაცვის დაწესებულების საზიანოდ.

კონტრაქტორების გამოყენება – განსაკუთრებით კერძო სამხედრო კომპანიების ზრდა – ოპერატიული დისლოცირების, სამშვიდობო ოპერაციების, და სტაბილიზაციის კამპანიების დროს, ასევე წარმოადგენს ამ სფეროს მთავარ საზრუნავს. ხშირ შემთხვევაში, არ არსებობს გამჭვირვალობა ტენდერის დროს, რაც ქმნის ფავორიტობის, მითვისების, ნეპოტიზმის, მექრთამეობისა და კორუფციის მასშტაბებს.

ჯერჯერობით, არ არსებობს საერთაშორისო სისტემა, რომელიც მოახდენს კერძო კონტრაქტორების შეფასებას, რეგისტრირებას ან ლიცენზირებას და განსაზღვრავს ან დაიცავს პროფესიონალური შესრულების სტანდარტებს. თუმცა, მცირე ნაბიჯები გადაიღვა მსგავსი სისტემის გასავითარებლად. 2008 წლის მონტრეს დოკუმენტი კერძო სამხედრო და უსაფრთხოების კომპანიების შესახებ ნიშნავს ყამირის გატეხვას იმის განსაზღვრულად თუ, როგორ ეკიდება საერთაშორისო კანონი კერძო სამხედრო და უსაფრთხოების კომპანიების საქმიანობებს. ქვეყნის საერთაშორისო კოდექსი კერძო უსაფრთხოების სამსახურის პროვაიდერებისთვის წარმოადგენს მრავალმხრივ ინიციატივას, რომლის მიზანია, არა მხოლოდ გაარკვიოს საერთაშორისო სტანდარტები კერძო უსაფრთხოების ინდუსტრიისთვის, რომელიც მოქმედებს კომპლექსურ გარემოში, არამედ გააუმჯობესოს კიდევ აღნიშნული კომპანიების მეთვალყურეობა და ანგარიშვალდებულება.

**რა როლი შეიძლება ითამაშოს პარლამენტის წევრმა ოპერაციებსა & ტექნიკურ მომსახურებაში?**

- უზრუნველყოს, რომ არსებობს საჭირო პროცედურები, რომლებიც ეხება კორუფციის საკითხებს, როგორც მშვიდობიან პერიოდში, ასევე კონფლიქტების დროსაც
- მხარი დაუჭიროს თავდაცვის მინისტრს შექმნას სახელმძღვანელო პრინციპები და ზედამხედველობის მექანიზმები სავსე დონეზე
- დაადგინოს კორუფციის ყველა შესაძლო საკითხი, რომელიც შეიძლება წამოიჭრას და უზრუნველყოს, რომ თავდაცვის უწყების ყველა წევრი აცნობიერებს ქვეყნის მისაღებ ნორმებს მსგავს სიტუაციებში
- განიხილოს ყველა დაქარბული შესყიდვების პროცესები სამშვიდობო ოპერაციებისა და საგანგებო სიტუაციებისთვის, რათა აღკვეთოს აღნიშნული გარემოებების არაკეთილსინდისიერი გამოყენება კორუფციული მიზნებისთვის
- გააკონტროლოს საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკები შემოსავლებისთვის, რომლებიც მიღებულია ჭარბი აქტივებისა და საკუთრების გაყიდვიდან – რომელი ორგანიზაცია იღებს შემოსავალს, და რისთვის შეიძლება მათი გამოყენება?

**კორუფციის რისკები თავდაცვის შესყიდვებში**

თავდაცვის შესყიდვები მიმართავს ორ განსხვავებულ პროცესს:

1. თავდაცვის ახალი შესაძლებლობების მოპოვება უფრო მოწინავე იარაღის სისტემების შემოღებით.
2. არსებული შესაძლებლობების შენარჩუნება სათადარიგო ნაწილების, საწვავის, ლოჯისტიკური სამსახურების და სხვ უზრუნველყოფით.

თავდაცვის შესყიდვები არის პროცესი, რომელიც ყველაზე მეტად იჩენს მიდრეკილებას კორუფციისადმი მრავალი მიზეზის გამო. თავდაცვის უწყების დიდი მასშტაბებიდან გამომდინარე, თუნდაც მარტივი პროდუქცია (როგორცაა, კვება, საწვავი, უნიფორმები) მოიცავს დიდი ოდენობის თანხებს. როდესაც საკითხი შეეხება მაღალგანვითარებულ და სპეციალიზებული ტექნოლოგიების შესყიდვებს, პოტენციური პროვაიდერების პოტენციალი იზღუდება. აღნიშნულის გარდა, ეროვნული უსაფრთხოების მოთხოვნებმა შესაძლებელია შეზღუდოს ალტერნატიული შესყიდვების ვარიანტები, რამდენადაც მიმწოდებელს ეძლევა ზედმეტი ძალაუფლება გავლენა მოახდინოს მოლაპარაკებებსა და კონტრაქტებზე. ასევე, ძნელია თავდაცვის საჭიროებების პირდაპირ დაკავშირება შესყიდვებთან, რამდენადაც დასაშვებია, რომ სტატისტიკა ხარჯების შესახებ ძნელი მოსაპოვებელი გახდეს, არასრული იყოს ან საერთოდ არ არსებობდეს.

კორუფცია თავდაცვის შესყიდვებში იწყება ან ტენდერის მონაწილისგან (რომელიც თავაზობს უკანონო საფასურს შედეგზე გავლენის მოსახდენად ე.ი. ადგილი აქვს მოქრთამვას) ან საჯარო თანამდებობის პირისგან (მოითხოვს საფასურს შედეგზე გავლენის მოსახდენად, ე.ი. ხდება გამოძალვა). იმისთვის, რომ შევამციროთ კორუფცია თავდაცვაში, პროცესის კეთილსინდისიერად მართვის ხელშესაწყობად, უნდა მოხდეს მონაწილე ორგანიზაციების ქმედების, საქმეში ჩართული ინდივიდუალური პირების ქცევის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის განხილვა.

## 1. მონაწილე ორგანიზაციების კეთილსინდისიერება

მნიშვნელოვანია, რომ შესყიდვების კონტრაქტის ორივე მხარე მიზნად დაისახოს კეთილსინდისიერების განმტკიცება – როგორც მოთხოვნების, ასევე მიწოდების ასპექტებითაც. მოთხოვნების მხარისთვის, თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო უწყების ფარგლებში, არსებითია მკაფიო კომპეტენციების განსაზღვრა – განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებისა და ზედამხედველობის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით.

მიწოდების მხარის გამო, ბოლო წლების მანძილზე თავდაცვის ინდუსტრია გაეხვა უამრავ კორუფციულ სკანდალში, რომელმაც შეასუსტა ხალხის ნდობა თავდაცვის კონტრაქტორების მიმართ. კომპანიას შეუძლია გადაიხადოს, რომ მოხვდეს ტენდერის კვალიფიციურ კანდიდატებს შორის ან შეზღუდონ კონკურენტების რაოდენობა. ისინი ვინც აწარმოებენ მსგავს გადახდებს, მოელიან არა მარტო კონტრაქტის მოგებას, არამედ მომავალი სუბსიდიების მოპოვებას, მონოპოლიურ პრივილეგიებს, და თავისუფალ რეგულაციებს მათ სასარგებლოდ.

ხშირ შემთხვევაში, მომწოდებლებისგან მოელიან, რომ ისინი ითავებენ კორუფციის შესაძლებლობების აღმოფხვრას, რომლის მსხვერპლი თავადვე შეიძლება გახდნენ.

## 2. ინდივიდების კეთილსინდისიერება

შესყიდვასთან დაკავშირებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის არანაირი მეთოდი არ იქნება ეფექტური, თუკი ამ პროცესში ჩართულ ინდივიდებს არ გააჩნიათ კეთილსინდისიერება. ბევრი ქვეყანა მიმართავს „მკაცრ“ და „რბილ“ ზომებს კორუფციის რისკის შესამცირებლად ცალკეული პირის დონეზე.

### ჩანართი 4. მონაწილე ორგანიზაციების კეთილსინდისიერების განმტკიცება

#### თავდაცვის კეთილსინდისიერების პაქტები

90-იან წლებში საერთაშორისო გამჭვირვალობამ შეიმუშავა კეთილსინდისიერების პაქტი, როგორც მექანიზმი, რომლის გამოყენებასაც შეძლებს მთავრობა კორუფციასთან საბრძოლველად შესყიდვის სატენდერო და საკონტრაქტო ეტაპებზე. საერთაშორისო პაქტი წარმოადგენს კონტრაქტს, რომელიც აკავშირებს ტენდერის მონაწილეებს არამქრთამეობის ვალდებულებებით კონკრეტული შესყიდვების დროს. გარდა ამისა, თავდაცვის კეთილსინდისიერების პაქტები, ზღუდავს მთავრობის თანამდებობის პირების ან მათი ახლო ნათესავების დაშვებას ტენდერში მონაწილე ფირმების სამსახურში ტენდერის წარდგენიდან გარკვეული დროის მანძილზე და, ასევე, მოითხოვს აგენტების ან შუამავლის შესახებ ინფორმაციის გამხელას. მსგავსი პაქტების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, უნდა დაინიშნოს დამოუკიდებელი მონიტორი ან მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც შემდგომში ექნება სრული დაშვება ყველა შეხვედრასა და დოკუმენტზე. მსოფლიოს 15 ქვეყანამ, მათ შორის, როგორცაა ხორვატია, ინდოეთი, პოლონეთი და გაერთიანებული სამეფო, გამოიყენა მსგავსი პაქტები თავდაცვის მთავარი შესყიდვების კონტრაქტების დროს.

#### აშშ-ის თავდაცვის ინდუსტრიის ინიციატივა

აშშ მთავრობა თავდაცვის კომპანიებმა ჩამოაყალიბეს თავდაცვის ინდუსტრიის ინიციატივა (DII), რომლის მიხედვითაც ყოველი ხელმოწერი მხარე თანხმდება, რომ შეავსოს დეტალური ყოველწლიური კითხვარი საკუთარი ეთიკური პროგრამებისა და პრაქტიკების შესახებ. შემდეგ შეჯამდება აღნიშნული კითხვარის შედეგები და გამოქვეყნდება ყოველწლიურ DII-ის საჯარო ანგარიშვალდებულების საანგარიშო მოხსენებასთან ერთად. ყველა კომპანიას, რომელიც არის DII-ის წევრი, აქვს ქვეყის კოდექსი, ეთიკის განყოფილება, მამხილებელთა ცხელი ხაზი, მომსახურე პერსონალის მოსამზადებელი პროგრამები ეთიკის საკითხებზე.

*მკაცრი ზომები* გამოიყენება ინტერესთა კონფლიქტისა და მექრთამეობის ქმედებების კრიმინალიზაციისთვის. იგი შეიძლება გავრცელდეს, როგორც ფაქტობრივი, ასევე წარსული და მომავალი შესყიდვის პერიოდზე. მაგალითად, ზომების გატარება შესაძლებელია, რათა შეიზღუდოს ინტერესთა კონფლიქტები, რაც გამოიწვია მთავრობის ან სამხედრო თანამდებობის პირების წინასწარმა კავშირმა თავდაცვის კონტრაქტორებთან, ან კერძო სექტორთან პოტენციურმა ჩართულობამ მას შემდეგ, რაც ისინი შეწყვეტენ მუშაობას მთავრობაში ან სამხედრო სამსახურში.

*რბილი ზომები*, ჩვეულებრივ გვხვდება ქვეყის კოდექსების ფორმით, რომელიც გამოიყენება სამთავრობო ინსტიტუტებისა და თავდაცვის მომწოდებლების მიერ საკუთარი პერსონალისთვის.

### ჩანართი 5. ინდივიდების კეთილსინდისიერება პოლონეთში

ყველა უფროსი ოფიცერი და უმცროსი ოფიცერი, რომელიც მსახურობს საფინანსო ან ლოჯისტიკის ქვედანაყოფში, მოვალეა შეავსოს აქტივების გამხელის ფორმა. შევსებული ფორმები არ არის საჯარო და მათ აკონტროლებს სამხედრო პოლიცია. ის პირები, რომლებიც სამხედრო სამსახურში მოღვაწეობის ბოლო სამი წელი მონაწილეობდნენ შესყიდვების პროცესებში, ვერ დასაქმდებიან თავდაცვის უწყებაში.

„განგაშის ამტებთა“ დაცვა გათვალისწინებულია ზემოთ მითითებული მკაცრი და რბილი მიდგომის დაახლოებით შუალედურ მონაკვეთში. იგი გამიზნულია იმ პირთა წასახალისებლად, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას კორუფციული ქმედების შესახებ და აცნობებენ ხელმძღვანელ პირებს.

### ჩანართი 6. კარგი პრაქტიკები „განგაშის ამტებთა“ (მამხილებელთა) დასაცავად

**ნორვეგიამ** მიიღო სპეციალური კანონი „განგაშის ამტებთა“ დასაცავად. იგი აძლევს კერძო და საჯარო სექტორის ყველა თანამშრომელს უფლებას თანამდებობის პირების ყურადღებაში დაიყვანოს საეჭვო დარღვევები საკუთარ ორგანიზაციაში იმ პირობით, რომ თანამშრომელი იცავს „სათანადო პროცედურას“. კანონი კრძალავს „რეპრესალიებს“ (სამაგიეროს გადახდას) – იგი მიიჩნევა არახელსაყრელ მოპყრობად, როგორც თანამშრომლის მიერ წარდგენილი შეტყობინების პირდაპირი შედეგი, და მასზე რეაგირება. მამხილებლის მოტივირების არაკეთილსინდისიერება არ დააბრკოლებს კანონიერ ანგარიშგებას, რამდენადაც გამხელა შედის საჯარო ინტერესებში. თანამშრომელი, რომელიც „იძლევა სიგნალს“, რომ იგი გადასცემს შეტყობინებას (მაგალითად, დოკუმენტების ასლის გადაღებით ან დამუქარებით ვიდრე არ შიგვლება უკანონო პრაქტიკა), ასევე დაცული იქნება სამაგიეროს გადახდის ზომებისგან. თუ აღიღო აქვს რეპრესალიების სხვადასხვა ფორმით გამოვლენას მამხილებლის წინააღმდეგ მის მიერ ინფორმაციის გამხელის შემდეგ, მიყენებული ზიანის ანაზღაურება იქნება შეუზღუდავი.

**რუმინეთში** მიღებული კანონი წარმოადგენს ევროპის მასშტაბით იშვიათ კანონს, რომელშიც მოცემულია ტერმინის „განგაშის ამტები“ (მამხილებელი) განსაზღვრება. „განგაშის ამტები“ არის ინდივიდი, რომელიც ამხელს კანონის დარღვევას სახელმწიფო ინსტიტუტებში საჯარო ძალაუფლებით აღჭურვილი პირების ან ამ ინსტიტუტების აღმასრულებელი ხელმძღვანელების მიერ“. მოცემული ტერმინი უნდა წავიკითხოთ შემდეგ განსაზღვრებასთან კავშირში: „მხილება საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე“, რაც გულისხმობს ანგარიშგებას, პატიოსნებას, ნებისმიერ ქმედებას, რომელიც არის კანონის ხელყოფის მცდელობა, პროფესიულ ეთიკურ ნორმებს ან კეთილსინდისიერი მმართველობის პრინციპებს, ეფექტურობას, ეფექტიანობას, ეკონომიურობასა და გამჭვირვალობას.

**აშშ-ს** რეგულაციების მიხედვით ეთიკის პროგრამები, წვრთნები, ანგარიშგება და მამხილებელთა დაცვა სავალდებულოა თავდაცვის ყველა კონტრაქტორისთვის. დაცვა ეხება კონტრაქტორის ყველა თანამშრომელს, რომელიც ამხელს ინფორმაციას მთავრობის თანამდებობის პირების მიერ გაფლანგვის ან არასათანადო მართვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის თუ უსაფრთხოების, ან თავდაცვის კონტრაქტთან დაკავშირებული კანონის დარღვევის შესახებ. თანამშრომელი შეიძლება არ გათავისუფლდეს, დააქვეითონ თანამდებობრივად ან სხვაგვარად განიცადოს დისკრიმინაცია სამაგიეროს მიზღვევის მიზნით მთავრობისთვის კონტრაქტთან დაკავშირებული დარღვევების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების გამო. ყველა კონტრაქტორი მოვალეა გააცნოს საკუთარ თანამშრომლებს წერილობით მამხილებელთა აღნიშნული ფედერალური უფლებები და დაცვის მექანიზმები. ანალოგიური ანგარიშგების მოთხოვნები, ასევე, ვრცელდება სახელმწიფო მოხელეებზეც; ანგარიშის წარდგენის ნებისმიერი შემთხვევა შესაძლებელია განხორციელდეს ფოსტით, ინტერნეტის ან ტელეფონის საშუალებით ანონიმური და არამიკვლევადი ფორმით მომხსენებელი პირის სურვილის შესაბამისად.

### 3. გადაწყვეტილების მიღების პროცესის კეთილსინდისიერება

რეგულაციებმა უნდა უზრუნველყოს მკაფიო მიზეზობრივი კავშირი თავდაცვის ბიუჯეტსა და შესყიდვებს შორის, რა

დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას საბიუჯეტო შეზღუდვები. შექმენასთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა დახარისხდეს პრიორიტეტულობის მიხედვით, რათა მოხდეს თავდაცვის სისტემის საერთო პროგრამის შედგენა, რომელიც იქნება მაქსიმალურად ამომწურავი და დაბალანსებული. მნიშვნელოვანია მოთხოვნების გამოკვლევა და ფასის შესაბამისობის ანალიზი.

### რა შევითხვების დასმა შეუძლია პარლამენტის წევრს შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის სამი ეტაპის დროს?

#### 1. მოსამზადებელი ეტაპი

- არის თუ არა ხელმისაწვდომი თავდაცვის პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც მოიცავენ მკაფიო დირექტივებს თავდაცვის მოდერნიზაციის შესახებ?
- შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ეფუძნებოდა თუ არა მკაცრ და გამჭვირვალე რისკის შეფასებას?
- გამომდინარეობს თუ არა ოპერატიული და ტექნიკური მოთხოვნები რეალური ოპერატიული საჭიროებებიდან?
- შესყიდვის გეგმის მოცულობა გამართლებული არის თუ არა რეალური საჭიროებებით?
- რა სახის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები არსებობს ტექნიკური მოთხოვნების შესამოწმებლად?
- არიან თუ არა ინფორმირებულები პოტენციური მომწოდებლები (ეროვნული კომპანიების ჩათვლით) მოახლოებული შესყიდვების შესახებ?
- შესყიდვის გეგმა მომზადებულია იმისთვის, რომ მოხდეს სამხედრო სისტემების თუ მხოლოდ ცალკეული ნაწილების შექმნა?
- არის თუ არა თანხები მობილიზებული პროექტის დასრულებამდე (სრული ციკლის ღირებულება)? არის თუ არა გათვალისწინებული თანხები ტექნიკური მომსახურებისათვის?
- გაუთვალისწინებელი შესყიდვები გამართლებული არის თუ არა გადაუღებელი ოპერატიული საჭიროებებით?

#### 2. ტენდერი და მოლაპარაკების წარმოების ეტაპი

- არის თუ არა გამოცხადებული ტენდერის პროცესი კონკურენტული? თუ არა, რამდენადაა გამართლებული ერთი წყაროსგან შექმნა (შეზღუდული ტენდერი)?
- არსებობს თუ არა საიმედო და ობიექტური კრიტერიუმი შემოთავაზების შესაფასებლად?
- სხვადასხვა მომწოდებლის წინადადებების შედარების პროცესის დროს სრული ციკლის ღირებულების გათვალისწინება ხდება თუ ავანსური ხარჯების?
- არის თუ არა ტენდერის დოკუმენტაცია ნათელი და ობიექტური?
- როგორ ხდება ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია? აქვთ თუ არა პროცესში მონაწილე ოფიციალურ პირებს რაიმე სახის ურთიერთობა პოტენციურ მონაწილეებთან, რომელიც შეიძლება განხილული იყოს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი? მოაწერეს თუ არა მათ ხელი დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას? თუკი ასეა, რა გზით იქნა ეს შემოწმებული?
- შესყიდვის ციკლის განმავლობაში ხდება თუ არა „აგენტებისა“ ან „შუამავლების“ გამოყენება? როგორ ხდება მათი კეთილსინდისიერების შემოწმება?

#### 3. განხორციელების ეტაპი

- უზრუნველყოფს თუ არა შესყიდვის კონტრაქტი თავდაცვის სამინისტროს უფლებების დაცვას?
- ხორციელდება თუ არა კონტრაქტი იმ ფორმით, რომელსაც მოეწერა ხელი?
- არის თუ არა კონტრაქტში გაკეთებული ცვლილებები მკაფიოდ განსაზღვრული და გამართლებული?
- არის თუ არა ხელმისაწვდომი ობიექტური, ხარისხის შესამოწმებელი ტესტები?

# კორუფციის რისკები კომპენსაციების შესახებ გარიგების დროს (გარიგება „ოფსეტი“)

კომპენსაცია წარმოადგენს კორუფციის ძირითად რისკს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი. კომპენსაციები მიზნად ისახავს უცხოური კონტრაქტორებისგან აღჭურვილობისა და მომსახურების შეძენის სანაცვლოდ ადგილობრივი მხარეებისათვის კომპენსაციის გადახდას. ხშირად კომპენსაციები საერთაშორისო თავდაცვის კონტრაქტების არსებით ნაწილს წარმოადგენს. კანონმდებლობის შესაბამისად ზოგიერთ ქვეყნებში კომპენსაციის გადახდა იმ კონტრაქტების შემთხვევაში ხდება, თუკი თანხა გარკვეულ რაოდენობას აღემატება.

კომპენსაციებთან დაკავშირებულმა ვალდებულებებმა შესაძლოა მოიცვას სხვადასხვა აქტივობები, როგორცაა თანაწარმოება, წარმოება ლიცენზიის თანახმად, მარკეტინგისა და ექსპორტირების ხელშეწყობა, ქვეკონტრაქტირება, ტრენინგი, ტექნოლოგიების გადაცემა, დაფინანსება ან უცხოური კაპიტალდაბანდება.

კომპენსაციები უზრუნველყოფს ეროვნული წარმოების განვითარებას და ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის საჯარო ბალანსის დაცვას. ხშირად კომპენსაციების საშუალებით მთავრობას აქვს საშუალება შეარბილოს ოპოზიციის დამოკიდებულება თავდაცვის მნიშვნელოვან ხარჯებთან მიმართებაში, რაც ხდება ეროვნული მწარმოებლებისა და ხალხის სახელით. კომპენსაციის ხელშეწყობით გათვალისწინებულია „მასტიმულირებელმა“ ფაქტორებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხვადასხვა საჭიროებებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე.

თავდაცვის შესყიდვები არ არის მარტივი ეკონომიკური ტრანსაქციები. ხშირად ისინი წარმოადგენენ დიდი მასშტაბის საერთაშორისო პოლიტიკურ გარიგებებს. ამ გარიგების საშუალებით შემსყიდველი ქვეყანა მომწოდებელ ქვეყანასთან პოლიტიკური ურთიერთობის გაღრმავებას ცდილობს. ისინი ასევე დიდ გავლენას ახდენენ შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე. თავდაცვის მომწოდებლების შემოთავაზებამ ინვესტიციების ჩადების, სამუშაო ადგილების შექმნის ან გარკვეული ქვეყნის, რეგიონის ან ქალაქის მასშტაბით კონკრეტული საქონლის და მომსახურების შესახებ, შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადგილობრივ პოლიტიკაზე შესყიდვის სასიკეთოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე არც თუ ისე სახარბილო პროდუქცია შესაძლოა პოლიტიკურად მიზიდველი გახდეს.

**ჩანართი 7. კომპენსაციები ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში**

კომპენსაციების შესახებ ხელშეკრულებები არ არის შეზღუდული ქვეყნის თავდაცვის სექტორში ინვესტიციების ჩადებით. საუდის არაბეთის მიერ გაერთიანებულ სამეფოსთან დადებული თავდაცვის კონტრაქტები მოიცავდა საკომპენსაციო გარიგებებს, რომელიც ავალდებულებდა ბრიტანულ კომპანიებს შაქრის წარმოების კომპლექსის, ფარმაცეპტული ქარხნისა და კომერციული კომპიუტერული ტრენინგის საშუალებების განვითარებას ქვეყნის შიგნით. მაღალი რისკის საკომპენსაციო გარიგებებმა, ინვესტიციების უნივერსიტეტებში დაბანდების საშუალებით ხელი შეუწყო უმაღლესი სასწავლებლების განვითარებას, ხოლო კუვეიტი კომპენსაციები გამოიყენა სამოქალაქო სექტორში მცირე და საშუალო წარმოებების განვითარებისათვის.

მთავრობები კომპენსაციებს ხშირად ანიჭებენ „ზრდის კოეფიციენტს“ (ნიშნავს რიცხობრივ კოეფიციენტს, რომელიც აჩვენებს თუ რამდენად იზრდება შემოსავალი ინვესტიციების გარკვეული გაანგარიშების დროს), რათა მოხდეს

პრიორიტეტულ სფეროში ინვესტიციების დაბანდების მოტივირება. მაგალითად, თუკი „ზრდის კოეფიციენტის“ სიდიდე არის 3, ეს ნიშნავს, რომ უცხოურ კომპანიას შეუძლია მოითხოვოს საკუთარ მიმდინარე კომპენსაციასთან დაკავშირებული კაპიტალდაბანდების კრედიტის გაზრდა 3-მდე. თუკი თავდაცვის სამინისტრო სასწრაფოდ მოითხოვს სპეციალურ ტექნოლოგიას სატანკო ჯავშანის წარმოებისთვის, შესაძლოა აღნიშნულ ტექნოლოგიას მიანიჭონ 4. ეს 20 მილიონი დოლარის ღირებულების ტექნოლოგიის მომწოდებელს მისცემს 80 მილიონის საკომპენსაციო კრედიტს. თუმცა, აშშ-ში რომ მომწოდებლებმა შესაძლოა მსგავსი შეთანხმება გამოიყენონ კონკრეტულ ქვეყანაში საკუთარი მიმდინარე საკომპენსაციო კაპიტალდაბანდების შესამცირებლად. მაგალითად, აშშ-ს თავდაცვის კონტრაქტორს სპარსეთის ყურის ერთერთ ბაზარზე აღებული ჰქონდა ნომინალური ვალდებულება 10 მილიარდის ოდენობით, თუმცა „ზრდის კოეფიციენტის“ საშუალებით მას დასჭირდა მხოლოდ 1 მილიარდი დოლარი ვალდებულებების შესასრულებლად. კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება სამხრეთ აფრიკიდან, სადაც შვედურმა თავდაცვის მომწოდებელმა საკომპენსაციო კრედიტის სახით მიიღო 200 მილიონი დოლარი იმისათვის, რომ მათ დახარჯეს 3 მილიონი პორტ ელიზაბეტში საცურაო აუზების განახლებისთვის და აღნიშნულ ქალაქში შვედი ტურისტების მოზიდვისთვის.

ცხრილი 7. პოლიტიკები კომპენსაციებთან დაკავშირებით			
ქვეყანა	კომპენსაციების მინიმალური საკონტრაქტო რაოდენობ	კომპენსაციების მინიმალური პროცენტი	ზრდის კოეფიციენტი
ავსტრია	726,000 ევრო	100%	10x
ბელგია	11 მილიონი ევრო	100%	არ არის დაკონკრეტებული
ბულგარეთი	5 მილიონი ევრო	110%	1 x დან 3 x მდე
ჩეხეთის რესპუბ.	500 მილიონი ჩეხური კრონა	100%	არცერთი
დანია	25 მილიონი დანიური კრონა	100%	არ არის დაკონკრეტებული
საბერძნეთი	10 მილიონი ევრო	80% to 120%	1 x დან 10 x მდე
უნგრეთი	3.5 მილიონი ევრო	100%	15x მდე
ლიტვა	1.5 მილიონი ევრო	100%	1 x დან 5 x მდე
ჰოლანდია	5 მილიონი ევრო	100%	1 x დან 5 x მდე
ნორვეგია	5.5 მილიონი ევრო	100%	1 x დან 5 x მდე
პოლონეთი	5 მილიონი ევრო	100%	2 x დან 5 x მდე
რუმინეთი	3 მილიონი ევრო	80%	5 x მდე
სლოვენია	500.000 ევრო	100%	1 x დან 7 x მდე
შვედეთი	10 მილიონი ევრო	100%	-
შვეიცარია		100%	2 x დან 5 x მდე

იმისათვის, რომ არ მოხდეს „ზრდის კოეფიციენტის“ არასწორი გამოყენება, რაც გამოიხატება საკომპენსაციო ვალდებულებების

შემცირებით ან არასწორად გამოყენებით, მრავალი ქვეყანა აწესებს შეზღუდვებს ან პირობებს „ზრდის კოეფიციენტის“ სიდიდის შესახებ. ინდოეთში მაქსიმალური რიცხოვრივი კოეფიციენტი 3 მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნებადართული, თუკი უცხოური კომპანია უზრუნველყოფს კონკრეტულ ტექნოლოგიას ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე წარმოების და გაყიდვების (ექსპორტის ჩათვლით) რაოდენობის მიუხედავად.

კომპენსაციების გამოყენება საგრძნობლად გაიზარდა ბოლო ხანებში, ვინაიდან მომწოდებლებმა გაიაზრეს მსგავსი შეთანხმებების მნიშვნელობა შესყიდვების შეთანხმებაზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. 1995 წელს საკომპენსაციო გარიგებების საშუალო მაჩვენებელი წარმოადგენდა 49%, მაგრამ 2005 წელს გაიზარდა 103%. მაგალითად, ლოკჰიდ მარტინს, ერთერთი ყველაზე მსხვილი თავდაცვის კონტრაქტორს 12 ქვეყანაში აქვს საკომპენსაციო ვალდებულება 19 მილიარდი დოლარის ოდენობით.

საკომპენსაციო გარიგებები ხშირად წარმოადგენს ვალდებულებებს, რომელთა დასრულება კონტრაქტის დადების შემდეგ ხდება. ვალდებულებების განხორციელებას შესაძლოა წლები დასჭირდეს. დროში გაწევის და პოლიტიკური და მედიის მხრიდან საჯარო განხილვის საგნად გახდომის შანსის ნაკლებობის გამო შესაძლებელია ბუნდოვანი გარიგებების დადება და კონტრაქტის მოპოვებაში ხელშემწყობი პირების წახალისება.

- რა შეკითხვების დასმა შეუძლია პარლამენტის წევრს კომპენსაციებთან დაკავშირებით?**
- არსებობს თუ არა ეროვნული სტრატეგია, სადაც ფორმულირებულია კომპენსაციების მიზანი?
  - რომელი სამთავრობო სამსახურები არიან ჩართულები კომპენსაციების მართვაში?
  - კომპენსაციებთან დაკავშირებული გარიგების ინიცირება კონტრაქტის დადებაზე ხდება თუ დადების შემდეგ?
  - არსებობს თუ არა დროის შეზღუდვები და სამუშაო სტანდარტები კომპენსაციებთან დაკავშირებული გარიგებებისათვის და ჯარიმები ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის.
  - არის თუ არა ზრდის კოეფიციენტი თავსებადი ქვეყნის თავდაცვის პრიორიტეტებთან? ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებთან?
  - ვინ იღებს სარგებელს საკომპენსაციო პოლიტიკიდან ქვეყნის შიგნით? გარკვეული სექტორები, კომპანიები თუ ცალკეული პირები?
  - არის თუ არა ზრდის კოეფიციენტი საგრძნობლად მაღალი გარკვეულ სექტორებში? გამოიწვევს თუ არა ეს მომწოდებლების მხრიდან მიმდინარე საკომპენსაციო ხარჯების შემცირებას?
  - არსებობს თუ არა აუდიტის პროცესის და ფინანსურ-იურიდიული ექსპერტიზის მოთხოვნები მომწოდებლებთან დაკავშირებით?
  - აქვთ თუ არა თავდაცვის სამინისტროსა და მომწოდებლებს ქვეყნის კოდექსი განსაკუთრებით კომპენსაციებთან დაკავშირებით?
  - რა ეტაპზე შეუძლია უცხოურ მომწოდებელს საკომპენსაციო კრედიტების მოთხოვნა ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის სანაცვლოდ?
  - მოითხოვა თუ არა თავდაცვის სამინისტრომ მომწოდებლისგან კონტრაქტის შესრულების გარანტიის წარმოდგენა, რომელიც უნდა აისახოს საბუღალტრო ანგარიშში (მსგავს გარანტიებს, რომლებიც მცირდება კონტრაქტის ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, შეუძლიათ გამჭვირვალობის ხელშეწყობა და კორუფციის აღმოფხვრა).

## კორუფციის რისკები თავდაცვის სისტემის კონვერსიაში (გარდაქმნაში)

თავდაცვის სისტემის საპარლამენტო და საჯარო განხილვა ხშირად ფოკუსირდება ახალი შეიარაღების სისტემების ან სამშენებლო პროექტების შესყიდვებზე, განსაკუთრებით კი ძვირადღირებული პროექტების შემთხვევაში. თუმცა შესაძლოა თავდაცვაში განხორციელებულ ნაკლებად საეჭვო შესყიდვების დროს იმალებოდეს კორუფციული გარიგებები, როგორცაა ხშირიდან ამოღებული შეიარაღების სისტემების, აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის გაყიდვა. თავდაცვის სისტემის გარდაქმნის პროგრამების ზოგმა კომპონენტმა შესაძლოა გამოიწვიოს პრობლემები კეთილსინდისიერების თვალსაზრისით: მაგალითად, სამხედრო ბაზებისა და შესაძლებლობების გარდაქმნა, ზედმეტი სამხედრო აღჭურვილობის, იარაღის და რეზერვების გადაცემა ან განადგურება, სამხედრო მრეწველობის რესტრუქტურისაცა.

ბევრ ქვეყანაში შეიარაღებული ძალები წარმოადგენს უძრავი ქონების, ინფრასტრუქტურის, სამრეწველო შესაძლებლობების და ზედმეტი (გასანადგურებელი) აღჭურვილობის მფლობელს. აღნიშნული სამხედრო ქონება კომერციული ინტერესის გამო ძალიან მიმზიდველია. მაგალითად, კერძო კომპანიებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რის შედეგად ძვირადღირებული ქონება მიჩნეულია „არასაჭიროდ“ თავდაცვის სისტემისათვის ან შეფასებულია უფრო ნაკლებად, ვიდრე მისი საბაზრო ფასი, მანამდე სანამ მოხდება კონკრეტული ქონების გაყიდვა ან გადაცემა. თავდაცვის სისტემის ქონების ამ ტიპის გაცვლა-გამოცვლა წარმოადგენს კორუფციის უფრო დიდ რისკს, ვიდრე შესყიდვები.

- რა შეკითხვის დასმა შეუძლია პარლამენტის წევრს თავდაცვის სისტემის კონვერსიის (გარდაქმნის) შესახებ?**
- აქვს თუ არა თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური გრძელვადიანი გეგმა კონვერსიის, ოუტსორსინგის და პრივატიზაციის შესახებ?
  - როგორ აისახება ეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის მიმდინარე და სამომავლო ოპერატიული მოთხოვნებზე?
  - არსებობს თუ არა აღნიშნულ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, როგორც სამთავრობო ასევე არა-სამთავრობო თანამშრომლებისათვის, მკაფიო წესები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ?
  - არსებობს თუ არ ქვეყნის კოდექსი იმ კომპანიებისა და პირებისათვის, რომლებიც ჩართულები არიან შესყიდვებში?
  - გაიარეს თუ არა შემოწმება მოლაპარაკებებში ჩართულმა პერსონალმა? არიან თუ არა ისინი ვალდებულები რეგულარულად გაასაჯაროონ ინფორმაცია საკუთარი შემოსავლის, კაპიტალის და ნებისმიერი სახის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ?
  - არსებობს თუ არა მექანიზმი, რომლის საშუალებითაც აღნიშნულ პროცესში ჩართულ პირებს შეუძლიათ ოფიციალური შეტყობინების გაკეთება საეჭვო ან კორუმპირებული ქმედების შესახებ „განგაშის ამტებთა“ დაცვის გარანტიით?

მეორეს მხრივ, თავდაცვის სამინისტროს მინისტრები ხშირად ხდებიან საზოგადოებრივი წნეხის და ასევე სახელმწიფოების, ქალაქების, დასახლებული პუნქტების და სპეციალური ბიზნესის ინტერესების მხრიდან ლობირების (კანონიერი თუ არაკანონიერი) ობიექტები იმისათვის, რომ არ მოხდეს ბაზის დახურვა ან საკუთრების გადაცემა, რაც თავისთავად გამოიწვევს საშუალო ადგილებისა და შემოსავლის დაკარგვას – მაშინაც კი, როცა



კონკრეტული ქონება ან საქმიანობა აღარ არის საჭირო ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და წარმოადგენს თავდაცვის ბიუჯეტის არამართებულ ხარჯვას.

კონკრეტული მომსახურების აუტოსონინგმა, როგორცაა სასაწყობე ფართის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ზედმეტი შეიარაღების, აღჭურვილობის და საბრძოლო მასალის განადგურება, შესაძლოა გამოიწვიოს კონტრაქტითა და ტენდერით მანიპულაცია ან მოლაპარაკების წარმოება მხოლოდ ერთ კომპანიასთან. შესაძლოა ორივე მხარე იყოს დაინტერესებული კონტრაქტის გაგრძელებით და შედეგად ხდებოდეს ზედმეტი ნივთების განადგურების გადადება. აღნიშნული გარიგებების დროს, ისევე როგორც თავდაცვის სხვა კონტრაქტების შემთხვევაში კორუფციის რისკი მცირდება ღია ტენდერების და კონკურენტუნარიანი პროცედურების დანერგვით, სადაც მოთხოვნები მკაფიოდაა ფორმულირებული.

ზოგიერთ ქვეყანაში თავდაცვის სისტემა წარმოადგენს ეკონომიკურ აქტორს, რომელიც თავის რესურსებს (პერსონალი და კაპიტალი) იყენებს მოგების მომტან საქმიანობებისათვის, რომლის მემშვეობითაც შეიარაღებული ძალები შემოსავალს იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტისგან დამოუკიდებლად. მსგავს საქმიანობასთან ასოცირებული რისკები ორმხრივია. პირველ რიგში, შესაძლოა მოხდეს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის კომპრომეტირება თუკი მისი რესურსები და პერსონალი კერძო სექტორისკენ იქნება მიმართული. ამ პროცესის დროს შეიარაღებული ძალები შესაძლოა უფრო დაინტერესდეს სარგებლის ნახვით, ვიდრე სახელმწიფოსთვის და მისი მოქალაქეებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფით. მეორეს მხრივ, ამას შეიძლება მოყვეს შეიარაღებული ძალების მხრიდან ანგარიშვალდებულების შემცირება. თვითდაფინანსების დამოუკიდებელი საშუალებების მოპოვების შედეგად, შესაძლოა წარმოიშვას რისკები საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების როლის თვალსაზრისით.

## ვინ უნდა შეასრულოს როლი კეთილსინდისიერების დასამკვიდრებლად?

პარლამენტს უადრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია კორუფციის შემცირებაში. პარლამენტმა უნდა წარმოადგინოს კანონიერი საფუძველი თავდაცვისა და უსაფრთხოების საქმიანობებისათვის. კანონები უნდა იყოს აღმკვეთი, მოითხოვდეს გამჭვირვალობას და იყოს აკრძალვითი, სადაც განსაზღვრული იქნება უკანონო ქმედებები და რომლის მიხედვითაც მოთხოვნილი იქნება ანგარიშვალდებულება. პარლამენტმა ასევე უნდა უზრუნველყოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება თავდაცვის ფინანსური დაგეგმვისა და შენაძენების გაკეთებისას, რაც უნდა განხორციელდეს თავდაცვის ბიუჯეტის ყოველწლიური დებატისა და დამტკიცების, ხშირად დასმული შეკითხვების და ინტერპელაციების, შემსწავლელი კომიტეტებისა და ბიუჯეტისა და თავდაცვის კომიტეტების მიმდინარე საქმიანობების მონიტორინგის მეშვეობით.

თავდაცვის ბიუჯეტის ზედამხედველობა ძირითადად ხორციელდება თავდაცვისა და უსაფრთხოების მუდმივი საპარლამენტო კომიტეტების საშუალებით. მათ უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, კომპეტენცია და სურვილი:

- გულდასმით შეისწავლონ თავდაცვის ყოველწლიური ბიუჯეტი
- ჩაატარონ სხდომები ან გამოკითხვები, სადაც ჩვენების მისაცემად იქნებიან გამოძახებული მინისტრები, მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელეები ან სამხედრო თანამდებობის პირები
- მოითხოვონ დოკუმენტები და ანგარიშები აღმასრულებელი ხელისუფლებისგან

- შეისწავლონ ანგარიშები ბიუჯეტის ხარჯების შესახებ და კომპეტენტურ ორგანოს მიმართონ აუდიტის ჩატარების შესახებ
- შეისწავლონ სამხედრო პერსონალისა და სამოქალაქო პირების მიერ დაწერილი განცხადებები და საჩივრები
- მოინახულონ და შეამოწმონ ბაზები და სხვა დაწესებულებები საზღვარგარეთ დისლოცირებული ჯარების ჩათვლით.

## ჩანართი 8. საპარლამენტო ზედამხედველობის კარგი პრაქტიკები

**ჰოლანდია:** შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება, რომელიც აჭარბებს 25 მილიონ ევროს წარედგინება პარლამენტს. პარლამენტს უფლება აქვს არამართო არ მიიღოს ან შეცვალოს შესყიდვებთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილება, არამედ შეუძლია გავლენა მოახდინოს შესყიდვის პროცესის ყველა ეტაპზე. თუკი პროექტები აჭარბებენ 100 მილიონ ევროს, მაშინ კიდევ უფრო დეტალურად და ხშირად ხდება ანგარიშის ჩაბარება პარლამენტის წინაშე.

**ბულგარეთი:** 2009 წელს თავდაცვის მინისტრმა ცვლილებები შეიტანა ბულგარეთის კანონში თავდაცვისა და შეიარაღების შესახებ, რომლითაც შეიზღუდა მინისტრის უფლებამოსილება თავდაცვის შესყიდვებში. ამ ცვლილებების თანახმად მინისტრს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს 25 მილიონამდე ევროს ღირებულების შესყიდვის თაობაზე, მაგრამ თუკი შესყიდვების ღირებულება მერყეობს 25-დან 50 მილიონ ევროს შორის, მაშინ მინისტრს ესაჭიროება მთავრობის მიერ გაცემული წინასწარი თანხმობა, ხოლო თუკი შენაძენის ღირებულება აღემატება 50 მილიონ ევროს, მაშინ მთავრობამ პარლამენტისგან უნდა მიიღოს წინასწარი თანხმობა.

**გერმანია და პოლონეთი:** მნიშვნელოვანი კონტრაქტები შესყიდვების შესახებ უნდა წარედგინოს პარლამენტის თავდაცვის კომიტეტს დასამტკიცებლად, იმ შემთხვევაში თუკი გერმანიის შესყიდვების ღირებულება აღემატება 25 მილიონს, პოლონეთის შესყიდვების ღირებულება კი – 28 მილიონ ევროს.

საკამომძიებლო საშუალებები მნიშვნელოვანია, მაგრამ კორუფციასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურები, რომლებიც კრიტიკული ანალიზის გაკეთების უნარით აღჭურვილი კვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომლების მიერ იქნება უზრუნველყოფილი. მედიაში, სამოქალაქო და სამეცნიერო საზოგადოებაში მოღვაწე მომხრეების ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი მეშვეობით შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაციის ალტერნატიული წყაროები და წინადადებები პოლიტიკების შესახებ.

ჩვეულებრივ, თავდაცვის სექტორში კორუფციასთან ბრძოლის ხელმძღვანელობას თავდაცვის სამინისტროსგან მოელოან. ამ ფუნქციის შესასრულებლად მას ესაჭიროება ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც გამყარებული იქნება პრევენციისა და იძულებითი ქმედებების გატარებისათვის საჭირო უფლებამოსილებითა და ადვილად გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სანქციებით კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოსასწორებლად.

ამასთანავე, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ნორმები და სტრუქტურები:

- თავდაცვის მიზნების გამჭვირვალობა და სიცხადე – ფუნქციები, მისიები, შეიარაღებული ძალების დავალებები
- პოლიტიკით განსაზღვრული გეგმები და გადაწყვეტილებები თავდაცვის რესურსების განაწილების შესახებ 5 წლიანი ინტერვალით

- ცენტრალიზებული კადრების მართვის სისტემა, სადაც დაწინაურებები, გადაყვანები და დანიშვნების უმეტესობა ხორციელდება მაღალჩინოსანი სამხედრო და სამოქალაქო პირებით დაკომპლექტებული სადამკვირვებლო საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ.
- შესყიდვების, ტექნიკური მომსახურების და შრომითი ხელშეკრულებების (კონტრაქტების) განხილვა და გაცონტროლება.
- კვალიფიციური სამოქალაქო ექსპერტების კადრი თავდაცვის სამინისტროში, რომლებიც მომზადებულები იქნებიან თავდაცვის მენეჯმენტში და სახელმწიფო ადმინისტრაციაში.
- ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენისა და აღმოფხვრის მექანიზმები.
- ზომები, რათა მოხდეს უმცროსი მომსახურე პერსონალის დაცვა კორუფციული სქემის ნაწილად ქცევისგან, რა დროსაც ისინი თავიანთი შემოსავლის ნაწილს მაღალჩინოსან ოფიცრებს აძლევენ.

ადმსრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიხანს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა უნდა წარმოადგენდეს, სადაც თანამშრომლებისთვის კორუფცია არ იქნება აღქმული, როგორც სავალდებულო აქტი, რაც გამოწვეული იქნება პიროვნული საჭიროებით თუ ორგანიზაციული კულტურით. თავდაცვის უწყების შესაძლებლობებისა და პროფესიონალიზმის გაუმჯობესებამ უნდა მისცეს თავდაცვის უწყების თანამდებობის პირებს კორუფციის გარეშე ეფექტურად მუშაობის საშუალება.

**ომბუდსმენის ინტიტუტი** ყოველთვის არ წარმოადგენს კორუფციასთან ბრძოლის უმთავრეს საშუალებას. თუმცა, თუკი იგი დანიშნულების შესაბამისად ფუნქციონირებს, აქვს ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა და დაკომპლექტებულია კვალიფიციური და მოტივირებული კადრით, მაშინ მათ შუღლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ კორუფციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ არსებული ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში.

**ჩანართი 9. სიერა ლეონეს კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზებული ინსტიტუტი**

**სიერა ლეონეში** ანტი კორუფციულმა კომისიამ აქტიური ზომები მიიღო შესყიდვების სფეროში კორუფციის დამლევისა და განგამის ამტეხთა დაცვის უზრუნველსაყოფად. მთავრობის მაღალჩინოსანი პირების მხრიდან ქცევის კოდექსის დარღვევას დისციპლინარული ზომების მიღება მოყვება. ახალ ანტიკორუფციულ კანონში კორუფციული დანაშაულებები 9-დან 22-მდეა გაზდრილი. ამოქმედეს მინიმალური ზღვარი განაჩენის გამოტანისთვის, რათა მოხდეს ყველა დამნაშავის დასჯა. ამჟამად უპირატესობა ენიჭება მოსამართლის მიერ საქმის განხილვას, ვიდრე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, როცა ანალიზმა აჩვენა, რომ უფრო ადვილი იყო 12-კაციანი სამოქალაქო პირების მოქრთამვა ან მათზე ზეგავლენის მოხდენა, ვიდრე მოსამართლის განგამის ამტეხთა დაცვა კანონით არის უზრუნველყოფილი. მათთვის ხელმისაწვდომი უფასო ცხელი ხაზი და უფლება აქვთ მოითხოვონ 10% იმ თანხიდან, რომლის დაბრუნებაც კორუფციაში მხილებული დამნაშავეების მიერ ხდება, თუმცა ყურადღება ეპყრობა ინფორმაციის მიღების, სარჩელის წარდგენის და მსჯავრის დადების წარმატებით განხორციელებას.

ომბუდსმენის ინსტიტუტებს სხვადასხვა საშუალებები გააჩნიათ თავდაცვის სისტემაში კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად: მოკვლევის წარმოება, ანგარიშის წარდგენა, საჯარო გამოსვლები, პარლამენტის წინაშე დოკუმენტების წარდგენა და მთავრობის მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრები. მათ როლს შემდეგი დანიშნულება და შესაძლებლობები აქვთ:

- თავდაცვის უწყებაში მოღვაწე ყველა პირს უნდა ჰქონდეს ომბუდსმენის ინსტიტუტთან კომუნიკაციის უფლება შეიარაღებული ძალების დავალებების შესრულების ან გადაწყვეტილებების მიღების დროს წამოჭრილი პრობლემების შესახებ; ამასთანავე, ნებისმიერ კერძო პირს უნდა ჰქონდეს უფლება ოფისს მიმართოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.
- იერარქიული მეთაურობისგან განსხვავებით, ომბუდსმენის ინსტიტუტს, როგორც დამოუკიდებელ ორგანოს, შეუძლია კომუნიკაციის ალტერნატიული გზის უზრუნველყოფა, თუკი ვინმეს მიაჩნია, რომ კორუფციას აქვს ადგილი.
- ხელმისაწვდომი და აქტიური ომბუდსმენის ინსტიტუტი უზრუნველყოფს კორუფციის იმ უმნიშვნელო შემთხვევების განხილვას, რომლებიც სასამართლო, ადმინისტრაციული ან სამხედრო საჩქციების მიღმა რჩებიან.
- თავდაცვის სისტემაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესების სისტემატურად ან სურვილისამებრ შესწავლის შესაძლებლობა თავდაცვის უწყებას მუდმივად ახსენებს, რომ მათი მუშაობა ნებისმიერ ეტაპზე მოწმდება, როგორც შიგნიდან, ასევე გარედან.
- გასაიდუმლოებულ დოკუმენტებზე და საშუალებებზე ადვილმა წვდომამ შესაძლოა ხელი შეუშალოს კორუფციის ხელისშემწყობი დოკუმენტების, მტკიცებულებების და პროცედურების გაყალბებას.
- ომბუდსმენის მიერ თავისი სამუშაოს გასაჯაროების შესაძლებლობა, რა დროსაც ხდება ყველა იმპოლიტიკური, სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირების მხილება, რომლებიც ჩართულები არიან კორუფციულ გარეგებებში, წარმოადგენს მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორს კარიერისა და ღირსების დაცვის თვალსაზრისით.

**სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას** ძალზედ მნიშვნელოვანი როლი აკისრია კორუფციის შემცირებაში. მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ მთავრობებთან, პარლამენტებთან და საზოგადოებასთან 5 ძირითადი საშუალებით:

- ხალხის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება – საზოგადოების გაფრთხილება კორუფციის დესტრუქციული შედეგების შესახებ და კეთილსინდისიერების განმტკიცების ინიციატივების მხარდაჭერა
- ასრულებს კატალიზატორის და შუამავლის როლს ცვლილების გასაკეთებლად და დიალოგის გასამართად
- ექსპერტიზისა და ცოდნის დაგროვების უზრუნველყოფა
- პოლიტიკების ალტერნატიული ვარიანტებისა და კვლევების განვითარება
- საქმიანობის მონიტორინგი და პოლიტიკის განხორციელების დროს მეთვალყურის ფუნქციების შესრულება.

მედიის როლი კეთილსინდისიერების განმტკიცებაში უპირველეს ყოვლისა სამართალდარღვევებისა და გადაცდომების მხილებას უკავშირდება. დამოუკიდებელი მედია კეთილსინდისიერი მმართველობის ინსტრუმენტია. მათი ძალისხმევის მეშვეობით ხდება საზოგადოების ინტერესების საკითხებთან დაკავშირებით ზუსტი, ბალანსირებული და დროული ინფორმაციის უზრუნველყოფა, რაც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით კომპეტენტური გადაწყვეტილებები მიიღონ.

მთლიანობაში კორუფციასთან ბრძოლის დროს უფრო სასარგებლოა მრავალმხრივი სტრატეგიის გამოყენება, რომელიც აერთიანებს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებს და სხვადასხვა ინსტიტუციებს, ვიდრე ცალმხრივი და ანტიკორუფციული ზომები.

## ჩანართი 10. სამოქალაქო საზოგადოების გამოცდილება ბიუჯეტის ანალიზის დროს

2001 წლიდან მოყოლებული (RESDAL), ლათინურ ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც 300 აკადემიკოსისა და სპეციალისტისაგან შედგება, მნიშვნელოვანი სამუშაოები აქვს ჩატარებული უსაფრთხოების სექტორის ბიუჯეტთან დაკავშირებით.

RESDAL-მა შეადგინა მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება თავდაცვის ბიუჯეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაანალიზება. ის აერთიანებს თავდაცვის პოლიტიკას, სამართლებრივ დადგენილებებს, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, შიდა და გარე კონტროლს და სამოქალაქო საზოგადოების აქტორების ქმედებებს. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება შემდეგი ქვეყნების ეროვნული თავდაცვის ბიუჯეტების გასაანალიზებლად: არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, ჩილე, კოლუმბია, აკვადორი, გუატემალა, ჰონდურასი, მექსიკა, ნიკარაგუა, პარაგვაი, პერუ და ვენესუელა.

ლათინური ამერიკის თავდაცვის სისტემის შედარებით ატლასი წარმოადგენს ლათინური ამერიკის 16 ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის ანალიზს. აღნიშნულ ატლასში ხდება შედარებითი მეთოდით მიღებული ციფრების შედარება და წარმოადგენს პირველ რეგიონალურ მონაცემთა ბაზას. ატლასი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე <http://www.resdal.org/>.

## რა სახის ქმედებების ინიცირება შეუძლია პარლამენტის წევრს თავდაცვის სისტემაში კეთილსინდისიერი მმართველობის ხელშეწყობის მიზნით?

- ხელი შეუწყონ პოლიტიკური საუბრებისა და საკანონმდებლო საქმიანობის დროს თავდაცვის სისტემის კეთილსინდისიერი მმართველობის მნიშვნელოვან საკითხად გადაქცევას
- მოითხოვონ კორუფციასთან და კეთილსინდისიერი მმართველობასთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიანი შეფასება – საუკეთესო შემთხვევაში სხვადასხვა ინსტიტუტებიდან: ეროვნული აუდიტის ოფისი, დამოუკიდებელი მკვლევარები
- განავითარონ სამოქმედო გეგმა თავდაცვის სისტემაში კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ
- სახელმწიფო მოხელეებისათვის და კერძო კომპანიის თანამშრომლებისთვის მკაფიო სტანდარტების დადგენა საქმის გამჭვირვალის დაკავშირებით; პერსონალის ტრენინგის და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული სტანდარტების დანერგვის მონიტორინგის სისტემის მოთხოვნა
- კანონებში ცვლილებების შეტანა კორუფციასთან დაკავშირებული სანქციების შესახებ; სანქციები უნდა იყოს ეფექტური და პროპორციული
- დამოუკიდებელი აქტორების გამოყენება არასაიდუმლო შესყიდვების მონიტორინგის მიზნით, მაგალითად ეროვნული აუდიტის თანამშრომლები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

## რა საერთაშორისო ნორმები და საუკეთესო გამოცდილება არსებობს თავდაცვაში კეთილსინდისიერების დასამკვიდრებლად?

არსებობს ინიციატივები ევრო კავშირის დონეზე, რომელთა მიზანია ევროპული ბიულეტენის მეშვეობით (**European Bulletin Board EBB**) თავდაცვის კონტრაქტებთან დაკავშირებული ღია სატენდერო შესყიდვების ხელის შეწყობა, რაც უზრუნველყოფილია **ევროპული თავდაცვის სისტემის სააგენტოს მიერ**. აღნიშნული პლატფორმა უზრუნველყოფს არა მარტო მთავრობათა შორის თანამშრომლობას და თავდაცვის სისტემის გამჭვირვალე შესყიდვებს, არამედ ასევე მთელ რიგ დეტალურ პრინციპებს, წესებს და პროცედურებს, რომელთა მიზანია წევრ ქვეყნებს შორის ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკების დანერგვა.

**ნატო-ს ინიციატივა კეთილსინდისიერი მმართველობის დამკვიდრების შესახებ** შეიქმნა ნატო-სა და „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ შორის დისკუსიის შედეგად, რომელიც ეხებოდა კორუფციის რისკის შესამცირებლად საერთაშორისო ძალისხმევების მხარდაჭერას. აღნიშნული ინიციატივა ხელმისაწვდომია ნატო-ს ყველა მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნისთვის ევროატლანტიკურ რეგიონში, ხმელთაშუა ზღვის აუზში, და სპარსეთის ყურეში ასევე სხვა ქვეყნებისთვის, ავღანეთის ჩათვლით. მონაწილეობა ნებაყოფლობითია და კონკრეტული ქვეყანა არის პასუხისმგებელი ინიციატივის დანერგვაზე. შესაბამისი ქმედებების მიზანია პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება, რაც ქვეყნებს დაეხმარება დააკმაყოფილონ ეროვნული ვალდებულებები გაეროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და სხვათა წინაშე. აღნიშნული აქტივობები მოიცავენ: კეთილსინდისიერი მმართველობის თვითშეფასების ინსტრუმენტს, სპეციალურად შემუშავებულ სასწავლო პროგრამებს, სამუშაო შეხვედრებს, დისკუსიებს, საუკეთესო პრაქტიკებისა და სახელმძღვანელოების გამოქვეყნებას, კვლევით სამუშაოებსა და ანალიზებს. მისასაღებელია პარლამენტის წევრების, საპარლამენტო თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა.

**სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრიალმა (SEDM)** ხელი შეუწყო კეთილსინდისიერების განმტკიცებას ბულგარეთში, როგორც მოწინავე ქვეყანაში, სადაც წარმატებით განხორციელდა რეფორმები. SEDM-ის მიერ კეთილსინდისიერების განმტკიცების შესახებ შემუშავებულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ქვეყნებმა: ალბანეთი, სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, საქართველო, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, სერბია და უკრაინა. 2014 წლისთვის ბოსნია-ჰერცეგოვინამ, ბულგარეთმა, ხორვატიამ და უკრაინამ შეასეს თვითშეფასების და კოლეგიალური შეფასების კითხვარი კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცების შესახებ.

**ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციის შესახებ** მოიცავს ადგილობრივი და უცხოელი საჯარო თანამდებობრივი პირების, პარლამენტარების, საჯარო სამსახურების, საერთაშორისო სასამართლოების თანამშრომლების, მოსამართლეების, არბიტრების და ნაფიცი მსაჯულების მიერ ქრთამის აღებას.

## რომელი დამოუკიდებელი წყაროებია ხელმისაწვდომი თავდაცვის სისტემაში კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული სტანდარტებისა და პრაქტიკების შესახებ?

სხვადასხვა წყაროების მეშვეობით ხელმისაწვდომია საერთაშორისო დონეზე მიღებული სტანდარტები ფინანსური დაგეგმვის გამჭვირვალობის და თავდაცვის ხარჯებზე ანგარიშვალდებულების გაზრდის შესახებ.

**კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცება და კორუფციის შემცირება თავდაცვაში: პრაქტიკულ რჩევათა კრებული** – წარმოადგენს ამომწურავ ინფორმაციას თავდაცვაში კორუფციის რისკებთან დაკავშირებული კონცეფციების, პოლიტიკების და სტრატეგიული მიდგომების შესახებ. კრებულში წარმოდგენილია კორუფციის რისკები და განხილულია სხვადასხვა ეროვნული აქტორების როლი კორუფციასთან ბრძოლისა

და თავდაცვაში გამჭვირვალობის გაუმჯობესების საკითხში. აღნიშნული კრებული გამოქვეყნდა 2010 წელს DCAF-ის მიერ. კრებული ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში 12 სხვადასხვა ენაზე.  
<http://dcaf.ch/Publications/Building-Integrity-and-Reducing-Corruption-in-Defence>

**თავდაცვის სექტორში ანტიკორუფციული ინდექსის მაჩვენებელი** გამოქვეყნდა 2012 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ; იგი წარმოადგენს 129 ქვეყნის თავდაცვის სექტორში კორუფციის პრევენციის მიზნით გატარებული წარმატებული (ან წარუმატებელი) ღონისძიებების ანალიზს.  
<http://companies.defenceindex.org/>

**სახელმწიფო თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსი** გამოქვეყნდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-ბრიტანეთის“ მიერ 2013 წელს და წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით თავდაცვის სექტორში არსებული კორუფციის რისკების პირველ საყოველთაო ანალიზს. აქ გამოკვლეულია 82 ქვეყანაში კორუფციის რისკების შესამცირებლად მიღებული ზომები და დეტალური პრაქტიკული მაგალითების მეშვეობით ნაჩვენებია თუ, როგორ შეუძლია პარლამენტს გააუმჯობესოს მათი მხრიდან განხორციელებული თავდაცვის სექტორის ზედამხედველობა.  
<http://government.defenceindex.org/>

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფისკალური გამჭვირვალობის უკეთესი პრაქტიკის კოდექსი** განსაზღვრავს პრინციპებსა და პრაქტიკულ მეთოდებს, რათა დახმარება გაუწიოს მთავრობებს მთავრობის ფინანსებისა და სტრუქტურის შესახებ მკაფიო სურათის უზრუნველყოფის საშუალებით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფისკალური გამჭვირვალობის სახელმძღვანელო წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს კოდექსის იმპლიმენტაციის შესახებ და იძლევა დეტალურ ახსნა-განმარტებებს პრაქტიკულ მეთოდებთან დაკავშირებით.  
<http://www.imf.org/external/np/fad/trans/code.htm>  
<http://www.imf.org/external/np/fad/trans/manual.htm>

**კეთილსინდისიერი მმართველობის თვითშეფასების პროცესი** შედგენილია ნატო-ს პროგრამის ფარგლებში. იგი საშუალებას აძლევს ქვეყნებს შეაფასონ კეთილსინდისიერი მმართველობა საკუთარ თავდაცვის სექტორში, რაც ორ ელემენტს ეფუძნება: კითხვარს, რომელიც უნდა შეავსოს კონკრეტულმა ქვეყანამ და შემდგომ ღონისძიებას, რომელიც წარმოადგენს ნატო-ს გუნდის მიერ ადგილზე ჩატარებულ კოლეგიალურ შეფასებას. გუნდი ხვდება ადგილობრივი ქვეყნის წარმომადგენლებს და განიხილავენ კითხვარში მოცემულ პასუხებს.  
[http://www.nato.int/nato\\_stac/assets/pdf/pdf\\_publicaons/1402\\_BI-Self-Assess-Quest\\_en.pdf](http://www.nato.int/nato_stac/assets/pdf/pdf_publicaons/1402_BI-Self-Assess-Quest_en.pdf)

**შეიარაღებული ძალების თანაფარდობა** გამოქვეყნებულია სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ (IISS) და წარმოადგენს 170 ქვეყნის თავდაცვის სექტორის შესაძლებლობებისა და ეკონომიკის ყოველწლიურ შეფასებას. იგი უზრუნველყოფს უახლეს ინფორმაციას თავდაცვის ბიუჯეტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საერთო რაოდენობის,

აღჭურვილობის საწყობებისა და სამხედრო დისლოკაციების შესახებ.

<http://www.iiss.org/en/publicaons/military-s-balance>

**თავდაცვითი ინსტიტუტების განვითარების შესახებ ნატო-ს პარტნიორობის სამოქმედო გეგმა** გამოხატავს მოკავშირეებისა და პარტნიორების ვალდებულებებს თავდაცვის სექტორში ეფექტური და გამჭვირვალე ფინანსური, დაგეგმვის და რესურსების განაწილების პროცედურების განვითარებას. ვალდებულებები ასევე მოიცავს თავდაცვის ხარჯების მართვის განვითარებას, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება მკროეკონომიკური ხელმისაწვდომობა და სტაბილურობა.  
<http://www.nato.int/docu/basicxt/b040607e.htm>

**OECD საუკეთესო პრაქტიკები ბიუჯეტის გამჭვირვალობისათვის** არის საუკეთესო პრაქტიკების კრებული, რომელიც ეფუძნება მოკავშირე ქვეყნების გამოცდილებებს შემდეგი თემების შესახებ: მოხსენება ბიუჯეტის შესახებ, კონკრეტული ფაქტების გამოამჟღავნება; კეთილსინდისიერი მმართველობა, კონტროლი და ანგარიშვალდებულება.  
<http://www.oecd.org/dataoecd/13/13/33657560.pdf>

**OSCE ქვეყნის კოდექსი უსაფრთხოების სექტორის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტების შესახებ** დამტკიცდა 1994 წელს. იგი იძლევა რეკომენდაციებს, რომ თავდაცვისთვის გამოყოფილმა მატერიალურ-ტექნიკურმა საშუალებებმა არ უნდა ამოწიროს მთლიანად ეკონომიკის განვითარებისათვის განკუთვნილი რესურსები. აღნიშნული ქვეყნის კოდექსი მოითხოვს საკანონმდებლო ხელისუფლების დასტურს თავდაცვის ხარჯებთან დაკავშირებით. ასევე, შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას.  
[http://osce.org/documents/sg/1994/12/702\\_en.pdf](http://osce.org/documents/sg/1994/12/702_en.pdf)

**სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევითი ინსტიტუტის (SIPRI) მონაცემთა ბაზა** უზრუნველყოფს ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყნის თავდაცვის სექტორისთვის გადაცემული რესურსების შესახებ. სამხედრო ხარჯებთან, საბრძოლო მასალების წარმოებასთან და გადაცემასთან დაკავშირებული ტენდენციები წარმოდგენილია SIPRI ყოველწლიურ გამოცემაში, რომელიც სხვადასხვა ენაზე ითარგმნება.  
<http://www.sipri.org/about/organizaon/researchprog/milap>

**გაერთიანებული ერების ანგარიში შეიარაღებული ძალების ხარჯებთან დაკავშირებით** ხელს უწყობს გამჭვირვალობის გავრცელებას მთელ მსოფლიოში და სამხედრო ხარჯების ერთობლივ შემცირებას. 1981 წელს გაერომ დაწერა შეიარაღებული ძალების ყოველწლიური სტანდარტიზებული მოხსენება, რომელსაც დამატა სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული ობიექტური ინფორმაციისათვის, რაც ასევე მოიცავს შეიარაღებული ძალების ხარჯებთან დაკავშირებულ გამჭვირვალობას.  
<http://www.un.org/disarmament/convarms/Milex>

**“BI” – კეთილსინდისიერების ამაღლების თვითშემსწავლელი პროცესი** შემუშავდა ნატო – ს BI – ის პროგრამის ფარგლებში.



შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF) ამოცანაა ხელი შეუწყოს სახელმწიფოს კეთილსინდისიერად მართვასა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებას. აღნიშნული ცენტრის ღონისძიებებია: სპეციალური კვლევების ჩატარება მოწინავე გამოცდილების შესახებ, შესაბამისი ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, პოლიტიკებთან დაკავშირებით რეკომენდაციების განსაზღვრა და ქვეყნის შიგნით საკონსულტაციო-საინფორმაციო მხარდაჭერითა და პრაქტიკული დახმარე პროგრამებით უზრუნველყოფა. DCAF-ის პარტნიორები მოიცავს მთავრობებს, პარლამენტარებს, სამოქალაო საზოგადოებას, საერთაშორისო ორგანიზაციებს და მთელ რიგ უსაფრთხოების სექტორის სამსახურებს, რომლებშიც შედიან შეიარაღებული ძალები, პოლიცია, სასამართლო ხელისუფლება, დაზვერვის სამსახურები და საზღვრის უსაფრთხოების დაცვის სამსახურები.

წვივით ჩვენს გვერდს [www.dcaf.ch](http://www.dcaf.ch)